№ 74 აპრილი 11, ოთხშაბათი 1890 აპრილი 11, ოთხშაბათი № 74

ბაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

## ივერია

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა სააღგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისიდ გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

გამოვიდა და ისყიდება
მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:
ისტორია მართლ-მადიდებელ ეკლესიისა,
შედგენილი
მოსე ჯანაშვილის-მიერ.
ფასი წიგნისა 40 კაპ.
(10—2)

სასწავლებელი და პანსიონი
სჲ. ბესარ. ჯორჯიკიასი
( ქუთაისში )
ზაფხულშიაც მიიღებს შეგირდებს მოსამზადებლად გიმნაზიებისა, პროგიმნაზიებისა და სხვა სასწავლებლებისათვის. (10—5)

შაბათს, 14 აპრილს, საღამოს 8 საათზე, კავკასიის იურიდიულ საზოგადოებას კრება ექნება ტფილისის ოლქის სასამართლოს შენობაში.

კრებას შემდეგი საგნები მოხსენდება:

1) სხვა-და-სხვა საადმინისტრაციო საქმეები:

ა) ახალის წევრების ამორჩევა;

ბ) გამოცვლილ წესდების დაბეჭდვა;

გ) საპატიო წევრობის დიპლომს უბოძებენ ვ. ა. ანდრეევს;

დ) საზოგადოების ბიბლიოთეკის ხარჯი და სხვ.

2) ა. ფრენკელის რეფერატი: დ. ზ. ბაქრაძის იურიდიულ მოღვაწეობის შესახებ.

3) პ. მ. ლებედინსკის რეფერატი: ძველ ებრაელთა მიწათ-მფლობელობა.

კრებაზედ არა-წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

ტფილისი, 10 აპრილი

განსამართლების ახალმა წესდებამ, რომელიც განსვენებულმა იმპერატორმა ალექსანდრე II თავის სასახელოდ მიანიჭა რუსეთს, სხვათა შორის ორი ძირეული ცვლილება შემოიტანა. ერთი ისა, რომ გარჩევა საქმეებისა საჯარო, საქვეყნო გაჰხადა, და მეორე ისა, რომ დაავალა სასამართლოს თვისი სასწორი სამართლისა დაამყაროს მარტო იმ საბუთზე, რომელსაც მოდავენი, თუ მოჩივარნი აღმოაჩენენ. პირველ შემთხვევაში სიტყვიერად ახსნას საქმისას უფრო დიდი მნიშვნელობა მიეცა ჭეშმარიტების აღმოჩენისათვის სასამართლოს წინაშე, ვიდრე ქაღალდით ლაპარაკსა, როგორც მანამდე იყო. მეორე შემთხვევაში მთელი მოვალეობა განსამართლებისათვის საბუთების მოგროვებისა დაეკისრა თვით მოდავეებსა და მოჩივრებს.

ამ სახით მოდავე თუ მოჩივარი სიტყვა-პასუხობაშიაც უნდა მარჯვე იყოს, ესე იგი, გავარჯიშებული და ჩვეული და გარდა ამისა ზედ-მიწევნით მცოდნელი კანონებისა საქმით და თეორიით. რა თქმა უნდა, ერთისა და მეორისათვისაც დიდი წინად მომზადებაა საჭირო და ჭკუაში მოუსვლელია, რომ კაცმა, რომელსაც იქნება მთელს თავის სიცოცხლეში ორი შემთხვევაც არ მიეცეს სასამართლოს წინაშე ან მოდავედ, ან მოპასუხედ წარდგომისა, გასწიოს ეს დიდი ჯაფა მომზადებისა, რომელიც არა ერთსა და ორს წელიწადს მოითხოვს, თუ ჰსურს მართლა რიგიანად მომზადდეს. იმას აღარ ვიტყვით, რომ ათასში ერთს ამისათვის არც დრო აქვს, არც შეძლება და არც მოცალეობა. ამისთანა მომზადებას შესაძლოა შესწიროს თავისი დრო და მოცალეობა მარტო იმ კაცმა, რომელსაც, თავის ნიჭისა და უნარის მიხედვით, სახსრად თუ საგნად თავისის ცხოვრებისა მარტო ამ გვარი მოსაქმეობა აურჩენია.

უეჭველია, ეს ახალი წესდება განსამართლებისა გამოიწვევდა მოსაქმედ ამ გვარს კაცებს და კანონმდებელსაც წინ დანახული ჰქონდა, რომ ეს ასე მოხდება. ხოლო რომ მომზადებუთან ერთად მოუმზადებელმაც ხელი არ წაატანოს ამ გვარს მოსაქმეობასა და ხალხი არ ატყუოს, განსამართლების წესდებაშივე განჩენილია ეგრედ წოდებული „კრებული (ინსტიტუტი) ნაფიცთა ვექილთა“.

ამ კრებულის გამო დადგენილია კანონები იმის თაობაზედ—თუ ვისა აქვს ნება შეირიცხოს თავი ნაფიცთა ვექილებში და რა ცოდნა და გამოცდილება უნდა მიუძღოდეს წინ, ვიდრე ნაფიც ვექილობას მიიღებდეს. ყოველთ უწინარეს ეს მოეთხოვება, კანონის ძალით, ნაფიც ვექილობის მსურველს, რომ ცოდნა უმაღლესის სასწავლებლისა ჰქონდეს და ამასთანავე რამდენისამე ხნის გამოცდილებაც საქმეთა წარმოებაში. რა თქმა უნდა, კანონ-მდებელს წინადვე დანახული ჰქონდა, რომ პირველ ხანებში აგრე მომზადებული კაცები ბევრნი არ იქნებოდნენ და ამის გამო საჭიროდ იცნეს ვექილობის ნება მისცემოდათ იმისთანებსაც, რომელთაც უმაღლესი სწავლა არ მიუღიათ და არც დიდის ხნის გამოცდილება მიუძღვით. ხოლო კანონ-მდებელი აქაც ჰფთხილობს, რომ სრულად უცოდინარი კაცი არ გაერიოს ამ საქმეში, და ოლქის სასამართლოებს დაავალა ცოდნაში გამოსცადონ ამისთანა კაცები და თუ ღირსად დაინახონ, ნება მისცენ ვექილობისა. ამ გვარს კაცებს კერძო ვექილებს ეძახიან.

ყოველისფერში ეტყობა, რომ კანონ-მდებლობა ამ კერძო ვექილობას ვერ უყურებს კარგის თვალით. დღეს აქამომდე სულ იმის ცდაშია, რომ არამც თუ გამრავლდეს და გაძლიერდეს ამ გვარი ვექილობა, არამედ შემცირდეს და, თუ შესაძლოა, მოისპოს კიდეც. ამიტომაც წესდების შემოღების დღიდამ დღეს აქამომდე ამ გვარ ვექილების უფლება სულ კლებაშია და არა მატებაში.

თითქმის მეოთხედმა საუკუნემ გაიარა, რაც ეს ახალი წესდება განსამართლებისა შემოღებულ იქმნა. კანონ-მდებელი ჰხედავს, რომ ამ ხანის განმავლობაში ნაფიც ვექილობის ღირსნი ისე გაბევრდნენ, რომ ტევა აღარ არის თითქმის და ამ მხრით კერძო ვექილობას ის საზოგადოებრივი ცოტად თუ ბევრად დაეკარგა, რომელმაც პირველ ხანებში კანონ-მდებელი იძულებული გახად შეეწყნარა ამ გვარი ვექილობა. აშკარაა, დღეს მთავრობა იმ გზაზედა სდგას, რომ კერძო ვექილობას ბოლო მოეღოს, რადგანაც ნაფიც ვექილთა რიცხვმა საკმაოდ იმატა და ხალხისათვის ნაფიცი ვექილი უფრო ბევრს თავდებობას ცოდნისას, სიმართლისას

## ფელეტონი

### უკანასკნელი სიმღერა

მოთხრობა ჟორჟ ონესი

V*)

ლორდი მელივანი თავის პატარა გემზე იყო; გემი ნავთსადგურში იდგა. მარაკჩის მოელოდა და ფიქრებისგან აღელვებული წინ და უკან დადიოდა ოთახში. ღია ფანჯრებიდგან ზღვის გრილი ნიავი უბერავდა. იქვე გემებზე ქვის ნახშირს უღებდნენ და ჯაჭვების ჩხარა-ჩხური მოისმოდა.

მოხუცი მარკიზი საშინლად გაბრუებული იყო, ველარასა ჰგრძნობდა და ველარასა ჰხედავდა. იმისი ფიქრი შორს, ძლიერ შორს იყო წასული. აღშფოთებული, თავ-ჩაკიდული ისევ წინ და უკან დადიოდა.

აი თვალწინ წარმოუდგა თავის სასახლე გროვენსკვერში. იქვე ახლოს მწვანეზე ქიკილ-კიკილით თამაშობენ იმის ორი პატარა ქალი. ერთი წინ მირბის და მეორე მისძახის: მოიცა, მოდი, მოდი! მოდი მწვანეზე დაჯდა, ღეზი კალთაში ჩაისვა და ალერსიანად დაუწყო კოცნა. მხოლოდ ორი წელიწადია, რაც დაქვრივდა. თუმცა ჯერ ისევ ახალგაზდაა, მაგრამ ფიცი დასდო, რომ ცოლი აღარ შეირთოს და მთელი თავისი სიცოცხლე შვილების აღზრდას მოახმაროს.

მართლა ასეც მოიქცა. ქალები კიდეც მოესწრნენ. ეხლა ორივე გასათხოვრები არიან. მამას ის-ღა აქვს საზრუნველი, რომ დროზედ გაათხოვოს და დააბინაოს. აბა მეტი ბედნიერება რა იქნება, რომ სიბერის დროს შვილი შვილები ნახოს და ათამაშოს. აი შვილიშვილებიც დაიზარდნენ. მელივანი დედოფალსა სთხოვს, მოწყალე თვალით უცქირე ჩემს შვილიშვილებსაო! ოჰ, რა მშვენიერი აზრია, რა ტკბილი ოცნებაა! მაგრამ ვაი წუთი-სოფელო, რომ ცრუ ხარ და გაუტანელი!

სურათი გამოიცვალა. მელივან გრეი დიონლის ქალაქში არის.

მშვენიერი ზაფხულის საღამოა. რამდენიმე დღეა, რაც მოდი თავის ოთახიდგან არ გამოსულა. გარიეტი წავიდა სადილად დასაძახებლად, მაგრამ ოთახი ცარიელი დახვდა. შეიქნა ერთი ალიაქოთი. მთელი სასახლის მოსამსახურეები, თითონ მარკიზიც მოედნენ ხეივნებს, ტყეს, მინდორს; უძახეს, უყვირეს, მაგრამ ტყუილად: მელივანს ისეთი უბედურება დაატყდა თავს, რომელსაც თავის დღეში ვერ მოიფიქრებდა. მოდი ვერ იპოვეს. ის თავის საყვარელთან გაქცეულიყო. საყვარლის ხსენებაზე მელივანს წარმოუდგა სტენიო მარაკჩი თავის მომხიბლავის ჰიანურით. როცა-კი სტენიოს ლამაზი პირი-სახე მოაგონდებოდა ხოლმე, მარკიზი სიშმაგით ივსებოდა. დიდი შეურაცხება მიაყენა მარაკჩიმ! ვერა სასჯელი ვერ მოჰრეცხს იმას იმ დანაშაულის ჩირქს! განა-ღა შეიძლება იმაზე მეტი დანაშაული? ჯერ ერთი, რომ ხარისხი დაუმცირა და მეორეც, მამობრივი გრძნობა შეულახა. ბევრჯელ იტყოდა ხოლმე თავის თავად: როგორ მოვიქცე, რომ სტენიო ხელში ჩამივარდესო? რა სასჯელი მივაყენო და როგორ გადავუხადო? განა შეიძლება ისეთი რამ მოვახერხო, რომ ყველა ცოდვები ვაზღვევინო? მარკიზი ასე ჰფიქრობდა, მაგრამ თუ როგორმე მოუვლიდა მარაკჩის, ამას ვერავინ დაიჯერებდა. აბა რა ნაირად უნდა მომხდარიყო! სტენიომ სახელი გაითქვა, სიმდიდრე შეიძინა და თავისთვის განცალკევებული სცხოვრობდა. ეხლა ის ისეთი იშვიათი გამოჩენილი კაცი იყო, რომ მელივანი უკეთესს სიძეს ვერც-კი იშოვნიდა. თითონ მარკიზიცა ჰგრძნობდა ამას და ეს უფრო უმატებდა ბოღმას. ბრაზით ისე იყო გაბრუებული, რომ ყელში დანა დაეცათ, ცვარი სისხლი არ გადმოვარდებოდა. ველარაფერი ვერ დაუოკებდა გულს, თუ მარაკჩი დაუსჯელი გადურჩებოდა. აი სწორედ ამ დროს შეატყობინეს, რომ სტენიო შენ გვერდზეაო, იმის ბედი და უბედობა შენზეაო დამოკიდებული. მელივანს რომ მოწყალედ შეეხედნა, სტენიო ისევ ბედნიერი შეიქმნებოდა. მარკიზის ერთს სიტყვას ყველაფერი შეეძლო, სიკვდილიცა და სიცოცხლეც. ნატვრა შეუსრულდა. მარაკჩი ხელში ჩაუვარდა.

მელივან გრეი შეჩერდა და ფანჯარაში დაიწყო ცქერა. ნავთ-სადგურის მეორე ნაპირზე გადამწვარი, გაგოლვილი კლდეები მოჩანდა. მხოლოდ აქ-იქ ეხირა გამხმარი ბალახის ღეროები. მახლობელ ეკკლესიიდგან სამგლოვიარო ზარის რეკა მოისმოდა, თითქოს მიცვალებულისას რეკავენო. მარკიზი მწარე ფიქრებმა გაიტაცა. იფიქრა, ვაი თუ ხვალ მეც მომიხდეს შვილის დამარხვაო. ჯავრით გული ყელში მოებჯინა, სული შეეხუთა და ძლივს მაშინღა ამოისუნთქა, როცა თვალები ცრემლით აევსო.

მელივანმა ცრემლები მოიწმინდა, ფანჯარა მიხურა და უკან გატრიალდა. გლოვის ზარი აღარ უნდოდა გაეგონა. მარკიზი შუა-ოთახში შეჩერდა, თავი ჩაჰკიდა და ხელები ჩამოუშვა. დიდხანს იდგებოდა ასე, რომ არავის დაეშალა. მაგრამ მოსამსახურემ კარი გააღო და ოთახში ტანწერილი სტენიო მარაკჩი შემოვიდა. ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. გაშტერებულნი ხმის ამოუღებლად უცქეროდნენ ერთმანეთს, თითქო იმასა სინჯავენ, ვინ უფრო მწუხარეაო. სიმამრი ძლიერ დაბერებულიყო, თმაში ჭაღარა გამორეოდა, სახე დანაოჭებოდა და მთრთოლვარე, გაფითრებულს ტუჩებზე შხამით სავსე ღიმილი მოსდიოდა. მარაკჩიც გამხდარიყო, ჯავრისაგან დაძაბუნებულიყო და თვალებზე ნამტირალეობა ეტყობოდა. ლორდმა სკამი არ შესთავაზა. მარტო ისე ზეზე მდგომმა ხელით ანიშნა: სთქვი, რაც გინდაო. თავ-ჩაკიდებულმა სტენიომ ნელა, წყნარად და ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაიწყო ლაპარაკი, თითქო ყელი დაეიწროებია და სიტყვები თავისუფლად ვერ ამოდისო.

— დიდად გმადლობთ, ბატონო, რომ მინახულეთ. უკვე გეცოდინებათ ის სამწუხარო ამბავი, რომელმაც აქ მომიყვანა. მე მოვედი შესახვეწად, მინდა გთხოვოთ, რომ დანაშაული აპატიოთ თქვენს ქალს.

*) იხ. „ივერია“ №№ 72 და 73.

და კეთილ-სინიდისიანობისას წარმოადგენს, ვიდრე კერძო ვექილი, თუმცა ამ უკანასკნელთ შორისაც არიან ღირსი კაცები.

რომ მართლა მთავრობა დღეს ამ გზაზედა სდგას, ამის დასამტკიცებლად მოგვყავს ის ამბავი, რომელსაც ამ კერძო ვექილთა შესახებ გვაუწყებს „Спб. Вѣдомости“. ეს გაზეთი ამბობს, რომ კანონებს შესახებ კერძო ვექილთა ხელ ახლად უპირებენ გადასინჯვასაო და დადგენილ იქმნებაო, კერძო ვექილთ ნება ჰქონდეთ ვექილობისა მარტო მომრიგებელ-მოსამართლეთა წინაშე და ოლქის სასამართლოში და პალატაში-კი აეკრძალებათო. ამასთანავე ხმა არისო, რომ ვექილობის მოწმობისათვის გადასახადი ეხლანდელზე უფრო მეტი დაიდებაო.

## ახალი ამბავი

⁂ ჩვენ მივიღეთ წინამძღვარიანთკარის სკოლის სასარგებლოდ 10 მან. ქუთაისიდამ ბ-ნ დ. ბაქრაძის მიერ გამოგზავნილი და 32 მან. განჯის სადგურზე მოგროვილი რკინის გზის ქართველ მოხელეთა შორის, სულ 42 მან., რომელიც გავგზავნეთ დანიშნულებისამებრ გარდასაცემად.

⁂ ამ თთვის 8, საღამოზე, ანჩისხატის ტაძართან ბორნიდგან გადავარდა მტკვარში ვიღაცა კაცი და დაირჩო. ამ უბედურის გვამი ჯერ არ უპოვნიათ და მიზეზი თავის დარჩობისა და იმისი გვარი ჯერ არავინ არ იცის.

⁂ გუშინ, ამ თთვის 10, ახალ პოლიციის უფროსს სტატსი სოვეტნიკს ბ-ნ მასტიცკის გამოეცხადა ათივე პოლიციის ბოქაული თანაშემწეებითურთ.

⁂ ამ ოთხის დღის წინად, ე. ი. ექვსს აპრილს, ვარანცოვის ხიდიდგან ერევნის მოედნისაკენ მიმავალ ცხენის რკინის გზის ვაგონში მჯდომარე ქალს, ტომით რუსს, ვიღამაც უეცრად და ყველას შეუმჩნევლად ამოაცალა ჯიბიდგან თხუთმეტი მანეთი ფული. მანამ ვაგონი დიდ ქარვასლის წინ არ გაჩერდა, მანამდის ქალმა ვერაფერი გაიგო. მოინდომა რიღასიც ყიდვა იქავე, მაგრამ პირს კატა-კი ეცა, რაკი ფული ვეღარ იხილა ჯიბეში. დაიწყო წუხილი და ვაება, დაუძახა პოლიციელს, რომ ეშველა რამე, მაგრამ პოლიციელი რას უშველიდა. ხალხი ვაგონიდგან წასულ-წამოსული იყო. ვიღაც სრულებით გამოუცდელი ახალგაზდა ბიჭი, ჩილინგდრის შეგირდი, მიუახლოვდა მწუხარე ქალს და უთხრა, რომ თქვენ გვერდზე რომ პატარა ქალაქის ბიჭი იჯდა, ის ამოგაცლიდათო. სტაცეს მაშინვე საწყალს ბიჭს ხელი და დაიჭირეს, შენ უთუოდ იმის ამხანაგი იქნები და გვაჩვენე ჩქარაო. ბიჭმა დაიწყო ტირილი, მე გორიდამ ვარ ჩამოსული, ჩილინგდარს მიმაბარა მამაჩემმა შეგირდად და საიდამ მეცოდინება, ის ვიღაც იყოვო. გამგზავნეს რკინის საყიდლად და იქიდამ მოვდივარ. თუ არა გჯერათ, წამომყევთ ქარხანაში და დარწმუნდებითო. ბევრი ეხვეწა საბრალო, მაგრამ აღარ გაუშვეს და, ვინ იცის, იქნება სრულებით უდანაშაულო და არა-ბრალეული შეიპყრეს და გაგზავნეს პოლიციაში.

⁂ ქალაქს ტფილისს ამ სამ თთვეში შემდეგი შემოსავალი ჰქონია: დასაფასებელი გადასახადი შესულია სულ 87,214 მან. 63 კაპ. და თავის დროზე დასაფასებლის გადასახადის შეუტანლობისათვის ჯარიმა გადაუხდევინებიათ—3,710 მან. და 25 კაპ. ქალაქის მილის წყლის გაყიდვისაგან ქალაქს აუღია 22,346 მან. და 3 კაპ., ყორღანოვის მილის წყლის გაყიდვისაგან ქალაქს აუღია 8,774 მან. და 7 კაპ. ე., ი. ამ სამ თთვეში სულ 31,120 მან. და 10 კაპ. წყალი გაყიდულა მთელს ქალაქში. სატიოებიდგან შესულა 2,665 მან. 20 კაპ. გილდები და სხვა-და-სხვა ვაჭრობის უფლების საბუთები გაყიდულა 45,884 მან. და 93 კაპ. ქალაქის საყასბოებიდგან ქალაქს აუღია 5,832 მან. და 46 კაპ. ახლად დადებული გადასახადი ფული ცხენებზე შესულა 16,259 მანეთი. ვერის ხიდიდგან ქალაქს აუღია 1,527 მან. 93 კაპ. მნაცაკანოვის ხიდიდგან—520 მან. და 69 კაპ. საქალაქო მეიდნებზე პირუტყვებისთვის და ეტლების დასადგომი გადასახადი—2,932 მან. და 96 კაპ. იანვარში ქალაქის კასსაში შესულა სულ 138,602 მან. და 28 კაპ.; თებერვალში მხოლოდ 51,602 მან. და 27 კაპ., მარტში-კი—46,347 მან. და 24 კაპ. სულ პირველ აპრილამდე 236,551 მან. და 79 კაპ.

ამავე დროს ქალაქს შემდეგი ხარჯი ჰქონია: იანვარში—91,674 მან. 22 კაპ., თებერვალში—54,748 მან. 98 კაპ. და მარტში—63,603 მან. 62 კაპ. სულ ამ სამ თთვეში ქალაქს ჰქონია გასავალი—210,026 მ. 82 კ.

⁂ ბათუმი: წუხელის (9 აპრილს), ნაშუაღამევს, ცეცხლი გაუჩნდა ქვითკირის მაღაზიებს და დაიწვო ხუთი მაღაზია. ორში იყო რკინის ავეჯი ჭელიძისა, ერთში იყო ყოველ ნაირი საქონელი და ორშიაც რესტორაცია იყო მოთავსებული. მიზეზი ცეცხლის გაჩენისა ჯერ არ იციან. დღეს დილას ჯერ კიდევ არ იყო სრულად გამქრალი ცეცხლი.

⁂ დ. ხონი: ჩვენში ახლა ოთხი ექიმია: ერთი რუსი და სამი ქართველი. მათი მიწვევა აქეთ-იქით სოფლებში, რომელთა რიცხვიც საკმაოდ [illegible], ცოტა არ იყოს ძვირად უჯდება ხალხს. ახლო 7—8 მან. ჯდება, ცოტა შორს 15—20 მანათი არ ჰყოფნის კაცს. ამისათვის, გვგონია, ბევრად უკეთესი იქნება რამდენიმე საზოგადოება ერთად შეერთდეს, გაიწერონ კომლობრივ ფული, 1000 მან. იქმნება, თუ 1,500 და ცალკე, საკუთარი ექიმი იყოლიონ. ან არა, და, დიდმა სოფლებმა მიჰბაძონ სოფელს გუბს, რომელიც მზად არის იხადოს წლიწადში რამდენიმე ასი მანათი, ოღონდ ერთ-ერთი ექიმი დათანხმდეს და კვირაში ორჯელ ან სამჯერ დავხედოს ხოლმე და უწამლოს ჩვენს ავადმყოფებსაო. სოფ. გუბი ჩვენზე სულ ახლოა, ესე 6 ვერსის სიშორეზე. სხვა ამისთანა სოფლებიც რომ ასე მოიქცეოდნენ, ურიგო არ იქნებოდა.

⁂ სოფ. მცხეთა: ამ ჟამად მცხეთაში ძალიან გახშირებულია სხვა-და-სხვა ავადმყოფობა და ნამეტნავად ყვავილი და წითელა. თითქმის ყოველ დღე იხოცება ხალხი, უფრო-კი ბავშვები. ამას წინად იყო ერთხელ დუშეთიდგან მაზრის ექიმი იულსკი, მაგრამ ერთის მოსვლით აბა რა გაკეთდებოდა და რა წამალი დაედებოდა სოფელს.

⁂ იქიდამვე: ამას წინად მოგვივიდა ახალი ბოქაული, ბ-ნი გუგუშვილი. ეს მეოთხე ბოქაულია მას შემდეგ, რაც ბოქაულების თანამდებობა დაარსეს. ბ-ნი გუგუშვილი ძალიან ფხიანი გამოდგა და ამ სამს თთვეში ბევრი რამ გააკეთა: გაასუფთავებინა და გააგანიერებინა, სადაც-კი შესაძლო იყო, ქუჩები, ხელის მოწერით შეაგროვა ფული და გააკეთებინა 25 ფარანი, რომელიც მთელს ღამეს ანთია, ყველა სოფელში აშენებინებს დამტკიცებულს გეგმაზედ კანცელარიებს და ისეთს დიდს ყურადღებას აქცევს სოფლების სისუფთავეს, რომ კაცი ძნელად-ღა შეხვდება უსუფთაო ადგილებს სოფლებში. ამას გარდა დიდი ყურადღება მიაქცია გზებს და ეხლა ყველა სოფელში გაცხარებული მუშაობა არის გზების გაკეთებისათვის.

⁂ სოფ. ურიათუბანი: ჩვენც მივხვდით, როგორც იყო, რომ სოფლის მოხელეს არა მცირედი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ ვეცადენით უფრო რიგიანი კაცი აგვერჩია მამასახლისად. წარსულს თთვეში დანიშნული იყო არჩევანი. სოფლის თავი კაცები შეიკრიბნენ ყრილობაზედ. ამ დროს მობძანდა მაზრის უფროსიცა და აგრეთვე მომრიგებელ-შუამავალი, რომელთაც დაარიგეს ხალხი, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ მოხელეების არჩევანის საქმეში. კრებამ აირჩია მამასახლისად ნასწავლი კაცი, არა გლეხთა საზოგადოებისა, აქაური მკვიდრი და სასოფლო საქმეში გამოცდილი აზ. რ. ლომიძე. კანდიდატად დაუნიშნეს აზ. გ. რჩეულოვი. სოფელს იმედი აქვს, რომ თუ მთავრობამ დაამტკიცა, ახალი, გაგებული მამასახლისი ბევრ გვარს უწესოებას მოსპობს და სოფელში სრულს მყუდროებასა, მშვიდობიანობასა და ერთმანეთის სიყვარულს ჩამოაგდებს.

⁂ გაზ. „Каспи“-ს სიტყვით, 7 აპრილს, საღამოს 8 საათზედ, «იმპერიალის» სასტუმროში ერთი ფრიად სამწუხარო ამბავი მომხდარა. ერთს სასტუმროს მოსამსახურეს, გვარად ალექსი ცოხაძეს, უნდოდა თურმე მეორე მოსამსახურე ზაქარია ბუეძის მოკვლა, შეხვდა დერეფანში, ესროლა დამბაჩა, მაგრამ ბუეძის მაგიერ ტყვია იქვე მდგომს 11 წლის ყმაწვილს რუსტემ მიხაილოვს კეფაში მოხვდა და სული გააფრთხობინა. მკვლელმა ეს არ იკმარა, ხელ-მეორედ ესროლა დამბაჩა და მარჯვენა ბეჭში მოახვედრა ბუეძეს. ექიმებმა ბუეძეს შეუხვიეს ჭრილობა. მკვლელი დაჭერილია.

⁂ ამ თთვის 10, ღამის 12 საათზე, პოლიციის პირველს ნაწილში კაპიტან პონომარევის ასულმა ანასტასიამ, 30 წლისამ, სწამლავი დალია და გარდაიცვალა. მიზეზი თავის მოკვლისა ჯერ არ იციან. გამოძიება სწარმოებს.

⁂ პოლიციის მერვე ნაწილში, აპრილის 10, დილის ოთხს საათზე, ჩიქოვანის სადგურის ეზოში, ჩხუბი მოუვიდათ ლეკს ახმედ-ოღლისა და თათარს ჰუსეინ-მამედ-ალი-ოღლის. ლეკმა ხანჯლით დასჭრა თათარი მარცხენა გვერდში. თათარი ჭრილობისაგან გარდაიცვალა. მკვლელი პოლიციამ შეიპყრო.

---

— თუ თქვენს ცოლს? ბოხის ხმით მიაძახა ლორდმა.

სტენიო მღელვარებისაგან ათრთოლდა.

— იმას უნდა აპატიოთ, ვისაც ერთ დროს მოდის ეძახდით! დაივიწყეთ, რომ ჩემი ცოლია. მოიგონეთ, რომ თქვენი ღვიძლი შვილია და თქვენი გვარი ჰქონდა. საქმის გარჩევაში ნუ შეხვალთ, მხოლოდ გულს მიენდევით. კარგად რომ იყოს, შეგეძლოთ გაგეკიცხათ, დაგესაჯათ, მაგრამ ეხლა ავად არის, იტანჯება. ერთი თქვენი სასტიკი სიტყვა სიცოცხლეს სრულიად მოუსპობს.... ოხ, ღმერთო ჩემო! ეხლა ჯავრობის დრო აღარ არის, მარტო პატიება-ღა შეიძლება. განა შესაძლებელია სულთმობძავთან სასტიკად ქცევა?

— ნუ თუ ეგრე მძიმედ არის ავად? ათრთოლებით ჰკითხა ლორდმა და თან სცდილობდა ღელვა დაემალა.

— თუ ეგრე არა ყოფილიყო, აქ რა მომიყვანდა, მოკლედ უპასუხა მარაკჩიმ.

— ემანდ რად აგიმართნიათ ჩემის შვილისთვის! შესძახა მელივანმა: იმიტომ მომტაცეთ, რომ დაგეღუპათ. პატიოსნად, კარგად და მხიარულად იყო, როცა მთელს ქვეყანაზე სათრევად [illegible] იხილა-კი მიუბნევით, სულსა ლევსო. რაღა ეგ მეჭირებოდა! უიმისოთაც უბედური ვიყავ, რომ ჩემს ახლოს ვერა ვხედავდი! ძლივ-ძლიობით დავივიწყე და ხელ-ახლად მიცხოველებთ ძველს იარას! თავი დამანებეთ! მე თქვენ არ გიცნობთ! ერთის ქალის მეტი აღარა მყავს! კვდება-კი არა, დიდი ხანია, რაც მოკვდა! სამი წელიწადია გამოვიტირე!

მარკიზს უნდოდა ამოეოხრა, მაგრამ თავი შეიმაგრა, თმაში ხელი წაიღო და ისე გაშტერდა, თითქოს დაავიწყდაო, რომ მარაკჩი იქ იყო.

— ნუ თუ სულ ეგრე შეუბრალებელი იქნებით? განაგრძო მარაკჩიმ: არ ვიცი, რა უნდა გითხრათ, რომ როგორმე მოგილბოთ გული? როგორ უნდა მოვიქცე, რომ დაგითანხმოთ? მზადა ვარ, ყველაფერი შევასრულო.

— ყველაფერი? გაიმეორა ლორდმა: მაშ შვილიც შეგიძლიანთ დამიბრუნოთ?

სტენიო შეშფოთდა.

— განა გნებავთ მომაშოროთ?

— თქვენ-კი გგონიათ, რომ თქვენთანა ვნახავ ჩემს ქალს? თქვენ შეურაცხმყოფელი, მე შეურაცხყოფილი! ერთად როგორ მოვთავსდებით? ან მამა, ან ქმარი... მაგრამ ლაპარაკი რაღა საჭიროა: იმან უკვე ამოირჩია, ვინც უნდოდა?

მარაკჩის თვალები აენთო.

— ბატონო, მაგას ნუ ბრძანებთ, ეგ მეტის-მეტია!

— თქვენ ვინ მოგცათ ნება, მე გამკიცხოთ?

— ჩემმა თავ-განწირვამ. იმ გვარად მიყვარს თქვენი ქალი, ხომ ყველაფერს შევწირავ. თუმცა ძლიერ სასტიკად მექცევით, მაგრამ მაინც მიბძანეთ თქვენი პირობა. რაც უნდა მომივიდეს, უთუოდ შევასრულებ, თუ-კი როგორმე ვასიამოვნებ ჩემს ანგელოზს, რომელსაც ჩემი სიცოცხლეც თან ჩაჰყვება სამარეში.

მარკიზი სტენიოს მიუბრუნდა და ზიზღით უთხრა:

— ცოცხალი წამართვით და მე მკვდარი უნდა დამიბრუნოთ. თქვენ მომაშორეთ მხიარული, მე მსურს წაგართვათ სევდიანი და ავადმყოფი. თქვენ ჩემს ალერსს მოაშორეთ, მე თქვენს ცრემლებს მინდა მოვაშორო. ის ამას იქით თქვენ აღარ გეკუთვნებათ. ისევ სრული ჩემი საკუთრება უნდა გახდეს. მე მსურს მამა-პაპათა სასაფლაოზე დავმარხო, დედის გვერდზე. თქვენც კიდევ სიტყვა უნდა მომცეთ, რომ ინგლისიდგან ფეხს ამოიკვეთავთ და ჩემის შვილის საფლავზე ხეტიალს არ დაიწყებთ.

მარაკჩიმ გაშტერებით დაუწყო ყურება მელივანს.

— თქვენი პატიება აგრე ძვირად უნდა დამისვათ!

მარკიზმა თავი დაიქნია.

გაფითრებულმა სტენიომ მშვიდად მოისმინა მელივანის სიტყვები. ცრემლებიც აღარ ეტყობოდა თვალებზე.

— მაშ ესე, საუკუნოდ უნდა მომაშოროთ ჩემს ანგელოზს. ნებაც აღარ უნდა მქონდეს, იმის ახლოს ან ვიტირო, ან ვილოცო. სუყველაფერს მიკრძალავთ, პატივის-ცემასაც, სიყვარულსაც, ცქერასაც. ყველაფერი გინდათ მომისპოთ, რომ ვეღარც ტანჯვა გავიქარვო, ვეღარც ვარამი მოვინელო. მთელს ჩემს სიცოცხლესა მთხოვთ და აჰა, მეც გითმობთ, მხოლოდ ამას გთხოვთ, ჩემი თავგანწირვა ღირსეულად დააფასეთ. რაზომი სასტიკობაც ჩემთვის გამოიჩინეთ, იმ ზომისავე გულ-კეთილობა თქვენის შვილისათვის გაიმეტეთ. მე მსურს, ყოველი ჩემი ხვედრა, ნაღველი იმას სიხარულად მიეწყოს და ჩემი ტანჯვა-ვაება შვებად მოელხინოს. დამსაჯეთ, შური იძიეთ ჩემი, მხოლოდ ის-კი გააბედნიერეთ.

ლორდმა ყურიც არ ათხოვა სტენიოს სიტყვებს. განიზრახა დაესაჯა და საგონებლად ეს-ღა ჰქონდა, რომ, თუ მოდი ცოცხალი დარჩებოდა, სრულიად ვერ აზღვევინებდა სტენიოს. არჩევანი რომ მიეცათ, მოდის გამოხსნა, თუ მარაკჩის დასჯაო, მაშინ ვინ იცის როგორ მოიქცეოდა. მაგრამ ეხლა მოდი მკვდარი იყო და მხოლოდ სტენიოს დასჯას-ღა მოახერხებდა. შვილის სიყვარული და მარაკჩის მძულვარება ორივე ერთ იარაღად გაიხადა. ორივეს ის დანიშნულება მისცა, რომ სტენიო დასჯილიყო, რადგანაც იმასა სთვლიდა უბედურების მიზეზად.

მარკიზი კიდევ მიუბრუნდა სტენიოს. უნდოდა ეთქვა, მითხარი, თუ კიდევ რამ გაქვს სათქმელიო, მაგრამ ჯავრით მოკლული სტენიო სიტყვას ვეღარ ახერხებდა. მაშინ ლორდმა კარები გაუღო და უთხრა:

— მგონი დროა, რომ წახვიდეთ. ერთის საათის შემდეგ ვნახავ ჩემს ქალს. მაგრამ გიმეორებთ, რომ რადგანაც თქვენთან ერთს ქალაქში არ შემიძლიან ცხოვრება, დღესვე ინგლისში მივდივარ.

მარაკჩიმ თავი დაუკრა და წამოვიდა.

როცა სტენიოს ფეხის ხმა მისწყდა, მარკიზმა ღრმად ამოიხრა. ამ დროს დეზი გასაგებად შემოვარდა, თუ რით გათავდა სიძე-სიმამრის მოლაპარაკება. აღელვებულმა ლორდმა ხელი მოჰკიდა, გულში ჩაიკრა და ხმა-მაღლა მორთო ტირილი.

ს. გძელიშვილი

(შემდეგი იქნება)

## ომი ლებელებისა დიგორლებთან და ივანე ქვაციხისელის ამბავი.

(ხალხში დარჩენილი ძველი მოთხრობა)

რაჭის მაზრას აღმოსავლეთ ჩრდილოეთის მხრით საზღვრავს ს. ღები. უწინ თურმე ამ სოფლის მკვიდრნი ცალკ-ცალკე, უბან-უბნად ყოფილან დაფანტულნი სხვა-და-სხვა მივარდნილ ადგილებში. მაგალითად: სოფ. ღებიდგან 30 ვერსის მანძილზე ხიდურში უცხოვრნიათ გოგრიჭიანებს, ჩიეშოს, ხოშიტიშვილებს და ღებში ლობჟანიძეებს. ამ გვარი იმათი განცალკევება თავის სასარგებლოდ გამოუყენებიათ მახლობელ მტერთა. აღმოსავლეთ ჩრდილოეთით დიგორელნი (მთიული ოსები) და დასავლეთით სვანები ხშირად ესხმოდნენ თურმე თავს ამ სოფლელებს და ანადგურებდნენ. ღონე მიხდილ ღებელებს ბოლოს ყველას ერთად მოუყრიათ თავი. ამათ მიმატებიათ საგურამოდგან გაეაშელიშვილები და დიგორიდგან გობეჯიშვილები. ყველა ესენი ერთად დასახლებულან და გამაგრებიან მტრებს.

ყველა ძველად დაშთენილ მოთხრობაში ამ ომების შესახებ უფრო შესანიშნავი არის: „ომი ღებელებისა დიგორელებთან და ივანე ქვაციხისელის ამბავი". სოფ. ღებიდამ 7 ვერსის მანძილზე, ტყეში, ერთ პატარა მიავაკებაზე დღესაც ერთი ვეებერთელა ქვა ძევს, რომელსაც ხალხი სიდიდისა გამო სახელად „ქვაციხეს" უწოდებს. ამ ქვას ზევითა პირი სწორე აქვს და აქა-იქ ნაპირებზე ძველის ქვითკირის კვალიც ეტყობა. უწინდელ დროში ეს ნასადგურევი ეკუთვნოდა თურმე სამ ძმას გვარად ქვაციხისელებს. სიტყვიერ გარდმოცემით უმცროსი ძმა ივანე მშვენიერი მონადირე ყოფილა და მასთან გულადი, გამბედავი და მამაცი ვაჟკაცი. „ქვაციხის" მახლობლად მაღლობ გორაზე ერთი პატარა ეკკლესია დგას. ამ ეკკლესიაში დღესაც დაცული არის ერთი მშვენიერი ძველის ხელოვნების ლაგამი, რომელიც ხალხი ქვაციხისელის ჰარმაის ლაგმად ადარებს. ერთხელ ივანე წასულა თავის ჰარმაკით დიგორში სავაჟკაცოდ. აქ იმას ერთ თავის მეგობრისაგან შეუტყვია, რომ მოკლე დროში დიგორელები უსათუოდ დაესხმიან ღებელებს თავს და აიკლებენო. ეს ამბავი ქვაციხისელს 24 საათის განმავლობაში უცნობებია ღებელებისათვის. ღებელები შესდგომიან ომის თავდარიგს და მოუწვევიათ დასახმარებლად ქვემო რაჭის აზნაურნი, გვარად ჯაფარიძენი და გამყრელიძენი. იმ ხანად დიგორელნიც გადმოსულან კისტიშის მთით. მისულან თუ არა ქვაციხესთან, ივანე წინ შეტაკებიათ, უცბად შემჯდარა თავის ჰარმაკზე და მისულა ღებში. აქ ის შესულა ერთ მაღალ კოშკში და სარკმელიდამ საყოველთაო გასაგონად დაუძახნია: «ღებელებო, მტერი ქვაციხესთან მოვიდა და ვინც მამაცი ხართა პასუხი გაეცით". უკვე დამზადებულმა ღებელების ჯარმა გაილაშქრა თურმე დიგორელთა საომრად. ომი დიგორლებთან აწერილია შემდეგ ლექსში, რომელსაც დღესაც პირველი ადგილი უჭირავს აქაურ ხალხურ სიმღერებში:

„დიგორსა დასხდნენ ვეზირნი,
რჩეულნი მადლეუანი;
მთანი და მთანი აჰწონოთ
სავალად კისტიშუანი.
ქვაციხეს რომ ჩამოვიდნენ,
გზანი დაუხვდათ წყლიანი;
წინ ივანე შეეფეთათ,
გამბედავი, ძალუანი;
ფიცხლავ შინისკენ გაბრუნდა,
ვით შევარდენი ფრთიანი,
ციხისა დუროს შეაჯდა,
მაღლა დაიწყო ხმიანი:
ვაჟებო, ფრთხილად იყავით,
საქმეა ღალატიანი.
დილა გათენდა მზიანი,
ლაშქარსაც გასდა ხმიანი.
გაილაშქრნენ საომრათა,
მტერს მისცეს დიდი ზიანი
გამყრელიძესა აქებენ
რომელს იყვე ჭქვიანო,
ქართული ხმალი გასტეხა,
სისხლი უყას აცხიანო;
ოსებსა ხოცვა დაუწყეს,
ჯირკვებივითა ჭურიანო.
სამარეც აღარ აღირსეს,
ღორის ნათხარში ჭურიანო".

ამ ომს შემდეგ ივანე ქვაციხისელიც მალე მომკვდარა. აი რას მოგვითხრობს იმის სიკვდილზე ერთი აქამომდე დარჩენილი ძველი ლეგენდა. შემოდგომის პირად ივანე ქვაციხისელი წასულა სანადიროდ. კარგა ხნის სიარულს შემდეგ ერთ ფიქალო კლდის წვერზე დაუნახავს ჯიხვები. კლდე მეტად უგზო-უკვლო ყოფილა და ვერ მოუხერხებია ასვლა. სხვა ვერა ღონეს გამხდარა, დაუკუმშავს სხვილ-სხვილი თოვლის გუნდები, დაუსველებია წყალში და კიბე-კიბედ მიუკრავს ფიქალო კლდისათვის. სალამოქამს კლდის ცივ კედლებს სულ თოვლის გუნდები მიუყინავს და ივანე თავის ყურშათი (ძაღლით) ასულა კლდის წვერზე. აქ ბლომად დაუხოცნია ჯიხვები, ჩამოუყრია ძირს და თითონ ღამე გაუთევია იქვე კლდის გამოქვაბულში. მეორე დღეს მზის ამოსვლისას ივანე დაეპირა თურმე შინ წამოსასვლელად, მაგრამ დახეთ უბედურებას! მზის სითბოს კლდეზე მიყინულ თოვლის გუნდები მოელხო და ძირს ჩაცვივნულიყო. ჩასვლა ყოვლად შეუძლებელი იყო. ამ ნაირად ივანე ქვაციხისელი თავის ყურშათი დარჩენილა კლდის წვერზე ერთ კვირაზე მეტს. საგძალი შემოლეოდა, დახოცილ ჯიხვებზე ხელი ვერ მიუწვდებოდა და სხვა საშუალებას-კი ვერას ჰხედავდა. შიმშილისაგან შეწუხებულ ქვაციხისელს განუზრახავს ყურშას დაკვლა და გამოსალმებია თავის მეგობარს შემდეგის ლექსით:

«შავო ყურშაო, ყურშაო,
შავო და შავის დღისაო,
შავს დღეზე დაბადებულო
შენ შავის პატრონისაო!
ორნივ შიმშილმა შეგვბნიდა,
გზა არსადა გვაქვს სავალი;
უნდა შეგჭამო, ყურშაო,
მეტი არ არის წამალი».

ქვაციხისელმა დაჰკლა თურმე ყურშა, შვილდით, ისრითა და კაპარჭით ცეცხლი დაანთო და აგო მწვადები. უნდა თურმე სჭამოს, მაგრამ ვერ ახერხებს ცოდვით და ამბობს:

„ყურშა დავკალ და გვერდს მიდევს,
ალმასის დანაც ზედ მიდევს;
მითლია, ვერ მიჭამია,
სულიც ვერ წამიწყმედია.

ამ დროს გაჩენილან მძებნელნიც. ესენი ყოფილან ივანეს ძმები. ივანეს რომ სახლში მისვლა დაჰგვიანებია, მისი ძმები წამოსულან საძებრად. ჯერ მისულან ხიდურში, სადაც ივანეს საცოლო ჰყოლია დანიშნული და, რაკი აქ არ დახვედრიათ, მოსდებიან სანადირო მთა-კლდეებს. ბოლოს მოსულან ფრიალო კლდის ქვეშ. უნახავთ, დახოცილი ჯიხვები, აუხედნიათ მერე მაღლა და კლდის წვერზე გამოქვაბულში დაუნახავთ თავისი მონადირე ძმა. ძმებმა შესძახეს ივანე:

„ჭკი შენ, ძმაო, ივანე,
ჯიხვთათვის რა გიქნიაო;
შენი შვილდი და კაპარჭი
ნეტა რად გადგიგდიაო?

ივანემ ჩამოსძახა:

„გამოვყევ ჯიხვების კვალსა,
ნახტომსა ჯერნებისასა;
აქ დავინახე ჯიხვები,
გუნდით ამოველ კლდის თავსა.
ისრით დავხოცე ჯიხვები,
ჯიხვები შავის-კლდისაო;
მაგრამ გზა ვეღარ ვიპოვე,
ვეღარ ჩამოველ ძირსაო».

ბევრს ეცადნენ თურმე ივანეს ძმები მონადირის ძირს ჩამოყვანას, მაგრამ ვერაფერი უშველეს. ბოლოს იფიქრეს: მოდი ივანეს საცოლო მოვიყვანოთ და იქნება იმისმა სურვილმა როგორმე გაამხნეოს და ჩამოიყვანოს. მოჰგვარეს საცოლო. საცოლომ შესძახა ივანეს:

„ივანე მას არ იტყოდი,
კლდეში არ მეშინიანო!?
რად ვერ ჩამოხველ, ვაჟკაცო,
სირცხვილის არ გრცხვენიანო?

ამ სიტყვებზე ივანე ამდგარა და გადმოვარდნილა კლდიდგან ძირს. თან ერთი დიდი ქვა გადმოჰყოლია, რომელიც ზედ დასცემია და მოუკლავს.

ღებელი

1890 წ. თებერვალს 4.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

გიგზავნით 32 მანეთს წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის სასარგებლოდ შეგროვილს განჯის რკინის გზის სადგურზე მოსამსახურე ქართველთა შორის და გთხოვთ გარდასცეთ დანიშნულებისამებრ.

აგრეთვე უმორჩილესად გთხოვთ ქვემოდ მოყვანილი სია შემომწირველთა დაჰბეჭდოთ თქვენს პატივცემულს გაზეთში. „Новое Обозрѣніе" რედაქტორსაც ვსთხოვ, რომ ეგ სია თავის გაზეთშიაც გადაჰბეჭდოს. აი სია შემომწირველთა:

დიმიტრი ქვლივიძე 3 მან., ივანე ბაჯიაშვილმა 3 მან., ივანე შარუხიამ 3 მან., დავით გოცირიძემ 3 მან., იაკობ ნოდიამ 3 მან., როსტომ ხლანოვმა 3 მან., იასონ ბიჭაშვილმა 2 მან., ალექსანდრე შენგელიამ 2 მან., ვარდენ ცქიტიშვილმა 1 მან., ყარამან აბდუშელიშვილმა 1 მან., ექვთიმე კვირიკაშვილმა 1 მან., კონსტანტინე ჩოლაკავამ 1 მ., ივანე თოხათელოვმა 1 მან., ზაქარია ბურლილაძემ 1 მან., გოტლიბ ლეიხტმა 1 მან., იაგორ ჩხაიძემ 40 კაპ., სოლომონ დოლიძემ 3 მან.

სულ შედგა 32 მანეთი და 40 კაპეიკი. 40 კაპ. ფოსტაში გადავიხადეთ და დანარჩენს 32 მანეთს გიგზავნით.

ამასთანავე შეგვეძლიან გაუწყოთ, რომ აქვე გროვდება ფული ბატონ იაკობ ნოდიას მიერ განსვენებულის საქართველოს წარჩინებულის შვილისა და ისტორიკოსის დიმიტრი ზაქარიას ძის ბაქრაძის ფონდის სასარგებლოდ და ამ ცოტა ხანში გამოგზავნილ იქნება თქვენს პატივცემულს რედაქციაში.

სოლომონ დოლიძე

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

6 აპრილს ამ წლისას სწორედ ოც-და-ხუთი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც რუსეთში გაკანონდა ახალი დებულება ბეჭდვითის სიტყვის შესახებ 1865 წლისა. ამის გამოისობით მოსკოვის გაზ. „Русскія Вѣдомости"-ში უკვე დაბეჭდილია ორი ფრიად საყურადღებო ფელეტონი ვ. იაკუშკინისა: „Изъ исторіи русской цензуры". ბ-ნი იაკუშკინი ვრცლად მოგვითხრობს რუსეთის ცენზურის ისტორიას და ბევრს საოცარ ამბავსაც გვამცნევს. საძირკველი ამ დაწესებულებას რუსეთში 1873 წ. ჩაჰყრია, ეკატერინე II მეფობის დროს. ეკატერინეს მოჰყვა პავლე I და უფრო გაჭირდა მწერლობის საქმე. გუშინდელს ნარკვევში ორიოდე მაგალითი გვქონდა ნაამბობი ნიკიტენკოს დღიურიდგან ცენზურას სისასტიკის თაობაზედ. თუ უარესი არა, უკეთესი არა ყოფილა ცენზურა 1797 წ. მაშინ ნაბრძანები იყო თურმე, რომ

მ ი მ ო ხ ი ლ ვ ი ს მაგიერ თ ვ ა ლ ყ უ რ ი ს გ დ ე ბ ა სწერეთო, მ კ ურ ნ ა ლ ი ს მაგიერ—ე ქ ი მ ბ ა შ ი, მ ოქ ა ლ ა ქ ი ს მაგიერ—მ ც ხ ო ვ რ ებ ი, მ კ ვ ი დ რ ი, ს ა მ შ ო ბ ლ ო ს მაგიერ—სახელმწიფო. სიტყვა ს აზ ო გ ა დ ე ბ ა ერთიან აღკრძალული იყო და სხ.

კოცებუს სიტყვით, ერთს პიესაში ცენზორმა ასე გაასწორა: ერთი ხარაზი, უმეტო სიყვარულით გატაცებული, ამბობდა, რომ „რუსეთში მივდივარ, ამბობენ იქ უფრო დიდი სიცივეებიაო"; ცენზორმა ეს ადგილი ასე გადააკეთა: „რუსეთს მივდივარ, იქ მხოლოდ პატიოსანი ხალხი სცხოვრობსო!"

აგერ სამეფო ტახტზედ მეფე ალექსანდრე I ავიდა და რუსეთის ლიტერატურას უკეთესის დღის შუქმა გამოუნათა. ახალის მეფის ტახტზედ აბრძანების პირველ თთვეშივე საზღვარ-გარედ გამოცემულ წიგნების რუსეთში შემოტანის ნება გამოვიდა. აი რას ამბობს უმთავრესად, სხვათა შორის, 1804 წლის წესდება: ცენზურა უმეტესად იმას უნდა სცდილობდეს, რომ

„... საზოგადოებას შეეძლოს კითხვა ისეთის წიგნებისა და თხზულებათა, რომელიც ადამიანს ჭეშმარიტად უნათლებს გონებასა და ზნეს უფაქიზებს"... (§ 2), „საცენზურო კომიტეტი და ყველა ცალკე ცენზორი განსაკუთრებით სალიტერატურო ნაწარმოების სინჯვის დროს იმას უნდა აქცევდეს ყურადღებას, რომ იმ ნაწერებში არა იყოს-რა ეკკლესიისა და სარწმუნოების წინააღმდეგი, მთავრობისა, ზნეობისა და პირადად რომელისამე მოქალაქისა (§ 15). ცენზორმა თითონ არ უნდა გაასწოროს თავისის ნებით ის ადგილები ხელთნაწერისა, რომელიც მე-15 §-ს ეწინააღმდეგება, არამედ უნდა აღნიშნოს და თვით გამომცემელს გაასწორებინოს (§ 16). თუ რომელიმე ხელთ-ნაწერი იმისთანა ნაწარმოებად იქნა ცნობილი, რომლის დაბეჭდვის ნება დართვაც შეუძლებელია, იგი ცენზორმა უნდა დაიკავოს, მხოლოდ მიმტანს მიზეზი აუხსნას აღკრძალვისა (§18).

დიაღ, ახალს დებულებაში მწერლობისათვის ბევრი სასიკეთო მუხლია შეტანილი, განსაკუთრებით-კი მე-21, 22 და 39 §-ები, მაგრამ ზოგიერთ ისეთს ცენზორებს ირჩევდნენ ამ დებულების ასასრულებლად, რომ მთელს ლიტერატურას რუსეთისას მძიმე ბორკილი დაადეს და სული შეუხუთეს. მაგალითებრ, 1819 წ. აღკრძალული იყო სრულიად კონსტიტუციის ხსენება ლიტერატურაში და არავის შეეძლო არც ექო და არც ეძაგებინა კონსტიტუცია. 1822 წელს ძალიან გაუჭირეს ცენზორებმა საქმე რუსეთის დიდებულს პოეტს პუშკინს, ასე რომ ამ მწერალმა ორი ლექსიც-კი დასწერა ცენზორებ შესახებ. აი ერთი ამბავი ამ მწერლის ბრძოლისა ცენზორთან:

1823 წ. პუშკინმა თ. ვიაზემსკის მიანდო გამოცემა თავისის „Кавказскій Плѣнникъ"-ისა. ცენზორმა ლექსი:

„Не много радостныхъ *ночей*,
Судьба на долю *ей* послала.

ასე გადაუსწორა:

„Не много радостныхъ *ей дней*
Судьба на долю мнѣ послала"-

აი რასა სწერს ამ ცვლილების გამო მწერალი თ. ვიაზემსკის:

„ყელი გამომჭრა ცენზურამ! ნება არა მაქვს ვსთქვა, არ უნდა ვსთქვა ლექსის ბოლოს: ей дней. დღენი-კი არა, ღამენი, ღამენი, თუ ღმერთი გწამს. უნდა იყოს: ночей судьба на долю ей послала. ღამენი უნდა, რადგან იმათ დღე ერთმანეთი სულ არც-კი უნახავთ, აბა პოემა გადასინჯეთ. ან ღამე რითია დღეზედ უმართებულო? ჩვენს საცენზურო დებულებას 24 საათში რომელი საათი მიაჩნია საშიშოდ და საფრთხილოდ, გაგვაგებინონ".

საშინელება რამ იყო თურმე ამ დროს ცენზორი კრასოვსკი. ერთხელ ერთი ლირიკული ლექსი გადასინჯა, რომელსაც ქვეშ 1823 წ. 9 მარტი უჯდა. კრასოვსკიმ შემდეგი შენიშვნა დააწერა: 9 მარტს 1823 წლისას დიდ-მარხვა იყო და დიდად უმართებულოა ქალის სიყვარულის შესახებ წერა, როცა მთელი რუსეთი ღვთის სიყვარულით უნდა იყოს გამსჭვალულიო. აი ამ ახირებულს ცენზორს როგორ გაურჩევია ერთი ლექსი პოეტის ოლინისა „Стансы къ Элизѣ". ყოველ ტაეპს ცენზორის შენიშვნა აქვს მიწერილი. რადგან თარგმანში ლექსი მახინჯდება, რუსულად მოგვყავს:

1. Улыбку устъ твоихъ *небесную* ловить.

„ძალიან გაზვიადებულია. დედაკაცი ღირსი არ არის, რომ იმისი ღიმილი ციურად იწოდებოდეს".

2. И молча *не тебя* свои покоить взоры.

„აქ რაღაც ორ-აზროვანება იფარება".

3. И поняла, *чего* душа моя искала.

„უნდა აიხსნას, რას ეძებდა სახელდობრ, რადგან სულია ხსენებული".

4. Что въ мнѣньи мнѣ людей? Одинъ твой нѣжный взглядъ
Дороже для меня *вниманья всей вселенной*.

„ესეც გაზვიადებულია. მწერალს უნდა ახსოვდეს, რომ მთელის ქვეყნის მირზედ არიან აგრეთვე მეფენი და კანონიერნი მთავრობანი, რომელთა ყურადღებასაც ყველა მეტად უნდა აფასებდეს".

5. О какъ-бы я желалъ пустынныхъ странъ въ тиши
Безвѣстный *близъ тебя къ блаженству* *пріучаться*.

„ამისთანა აზრები არასოდეს არ უნდა გაავრცელონ. ეს ხომ იმასა ჰნიშნავს, რომ ავტორს აღარ უნდა ხელმწიფეს ემსახუროს, რათა სულ თავის საყვარელთან გაატაროს დრო. ამას გარდა ნეტარებაში ყოველს ადამიანი მხოლოდ სასარებას ახლო შეიძლებს და არა დედაკაცს ახლოს?"

6. О какъ-бы я желалъ *всю* жизнь тебѣ отдать.

„ღმერთს რაღა დარჩება?"

7. У *ногъ твоихъ* покой для пѣсней лиру строить,

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დიდი ცოდვა და თავის დამცირებაა ქრისტიანისათვის დედაკაცის ფეხებთან ჯდომა“.

8. Тебѣ *лишь посвящать*, разлуки не страшась,
*Дыханье каждое и каждое мгновенье.*
И *сердцемъ близъ тебя*, другъ милый, *обновясь*...

„ყველა ეს აზრები ეწინააღმდეგება სარწმუნოებას ქრისტესას, ვინაიდგან სახარებაში ნათქვამია, რომ ვისაც უყვარს მამა ან დედა თავისი ჩემზედ უმეტეს, იგი არა არს ღირსი ჩემი“.

აი სწორედ ამ კრასოვსკისთანა—რომლისთანაც ეხლაც ბევრი სულდგმულობს რუსეთის მიყრუებულსა და მიგდებულს კუთხეში—ცენზურებზეა სამართლიანად პუშკინის მიერ ნათქვამი:

А ты, глупецъ и трусъ! Что дѣлаешь ты съ нами?
Гдѣ должно-бъ умствовать, ты хлопаешь глазами.
Не понимая насъ, мараешь и дерешь;
Ты чернымъ бѣлое по прихоти зовешь..

## უცხოეთი

გერმანია. ხმები იმის, რომ იმპერატორს ვილჰელმსა და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს კარნოს ნახვა უნდათ ერთმანეთისაო. ამბობენ აგრეთვე, რომ ვითომ გერმანიის იმპერატორი და ავსტრიისა ფრანც-იოსები ამ ხლო ხანში საიდუმლოდ ინახულებენ ერთმანეთსაო.

— ბისმარკზე ამბობენ, რომ კანცლერად ნამყოფი თავადი სრულიად არა სტოვებს პოლიტიკას და რეიხსტაგის საქმეებში კვლავ მიიღებს მონაწილეობასაო. ბისმარკს უთქვამს ვითომ, რომ გერმანიის იმპერიის საქმეები მე უფრო მეხება, ვიდრე პრუსიის მეფეებსაო.

— ინგლისში იმ აზრისანი არიან ამ ჟამად, რომ გერმანია ძალიან დაუახლოვდა ბისმარკის სამსახურიდგან გადაყენების შემდეგ ინგლისსაცა და საფრანგეთსაცაო. შესაძლებელია, რომ კვლავ ამოკვარდეს ლაპარაკი ელზას-ლოტრენის ბედზე ყოფნის შესახებაო, ისე რომ ელზას-ლოტრენი არც საფრანგეთს დაუბრუნდეს და აღარც გერმანიას ეჭიროს ხელშიო.

— ახალ კანცლერს გენერალს კაპრივისა და ავსტრი-უნგრიის გარეშე საქმეთა მინისტრს კალნოკის მიწერ-მოწერა ჰქონდათ საპოლიტიკო საგნების შესახებ და დაასკვნეს, რომ სამთა კავშირის გამო არავითარი ცვლილება არ მოხდება და რა გზასაც დღემდე ადგა გერმანია ამ საქმეში, იმავე გზას დაადგება შემდეგაცაო. ესე მიუწერია კაპრივის იტალიის მთავარ-მინისტრისათვის და ოსმალეთის მთავრობისათვისაც უცნობებია, რომ დღემდე არსებული პოლიტიკა გერმანიისა არ შეიცვლებაო.

— გაზ. „La Paix“-ი ამბობს, რომ იმპერატორი ვილჰელმი ახალის დროების კაციაო. ვილჰელმი დარწმუნებულია, რომ გაერთიანება გერმანიისა გათავებული საქმეა და ეხლა ომით აღარაფერი აღარ დარჩენილა გასაკეთებელი. ამიტომ ომს აღარ უნდა ვეტანებოდეთ და მხოლოდ მშვიდობიანობის, ქვეყნის წარმატებას უნდა ვემსახურებოდეთო. იმპერატორი ჯერ ყმაწვილი კაცია, დიდ-სულოვანი და თავ-მოყვარე. ამიტომ უნდა თავი გამოიჩინოს მშვიდობიანობის და[illegible]ითა და ქადაგებით. იმპერატორს დიდად სურს, რომ მის მეფობაში მფარველობა გაეწიოს უფრო ხელოვნებას, მეცნიერებას, ლიტერატურასა და მადლობა დაიმსახუროს ერისა მით, რომ განაკარგოს მისი ყოფა-ცხოვრებაო. ყოველ ამისათვის ვილჰელმი ჰფიქრობს მთელს ევროპაში, და იქნება მთელს ქვეყნიერობაზედაც, ჯარიანობა და შეიარაღება მოსპოსო.

— ლონდონელი კორესპონდენტი გაზ. „Figaro“-სი სწერს, რომ ინგლისის საზოგადოებას არას დროს არ ჰყვარებია თავადი ბისმარკი. ლონდონში ბისმარკს სრულიად არა ჰყავს მომხრენი და მეგობარნი. ამიტომ ყველა არისტოკრატების სალონებში, სადაც-კი იკრიბებიან პოლიტიკის მიმდევარნი, ძალიან ავად იხსენიებენო ბისმარკს და იმის პოლიტიკას. გაზეთებშიაც იბეჭდება წერილები, რომლებშიაც ქება-დიდებით არ ამკობენ ბისმარკს. ამ დღეებში ელიან ერთის წიგნის გამოსვლას, რომელშიაც ბევრი რამ არის ბისმარკის დასამცირებლად მოთხრობილიო. წიგნს ეწოდება „კარიერა ბისმარკისა“. მასალა ამ წიგნისა ავტორისათვის მიუცია ქვრივს იმპერატრიცას ვიქტორიას და ისტორიკოსს მარტენსსაო.

— კანცლერს კაპრივის უბრძანებია სამინისტროებისათვის, რომ არავითარი ცნობანი აღარ შეატყობინოთ ხოლმე ამას იქით გაზეთებს. ყველა ეგ ცნობანი დღეის შემდეგ უნდა იბეჭდებოდეს მხოლოდ „Reichsanzeiger“-შიო.

— გერმანიის მთავრობას გადაუწყვეტია, სასტიკად მოეპყრათ მუშებს, რომელნიც სახაზინო ქარხნებში მუშაობენ, უკეთუ მეტის-მეტი მოითხოვესო. ამ აზრით კილში, სადაც მთავრობა ხომალდებსა და გემებს აკეთებს, დაუთხოვნია 1000 მუშა, რადგან დაურღვევიათ პირობა მუშაობისა. მანსველდშიაც სახაზინო ვერცხლის მადნებში, სადაც მუშები გაფიცულან და ხელი აუღიათ მუშაობაზე, შეუპყრიათ 42 მუშა-კაცი.

— 1 მაისს მთელის ევროპის მუშები აპირობენ დღეობის გამართვასა და ამ დღეობაზე უნდათ გამოაცხადონ, რომ დღეში მუშებს 8 საათზე მეტს არსად ამუშავებდნენ. ამ 1 მაისის მუშათა დღეობის გამო ლიბკნეხტს მიუწერია წერილი თავის თანამომხრეთათვის საფრანგეთში, რომ მე წინააღმდეგი ვარ 1 მაისის დღეობისაო, იმიტომ-რომ მეშინიან, ვაითუ უსიამოვნება მოუვიდეთ ერთმანერთში მუშებსაო. ამას-კი ვიტყვი, რომ მანიფესტაციები საჭიროა გაიმართოს ყველგან, სადაც-კი მუშები ბურჟუებზე ძლიერნი იქმნებიანო. ბოლოს ლიბკნეხტი სწერს: ამ საგნის გამო საერთო გარდაწყვეტილება იქმნება მიღებული გერმანიაში. ყველა ჩემი მეგობრები ჩემის აზრისანი არიან. რაიცა შეეხება საფრანგეთს, იმან თითონ იცის თავის საქმისა. მე ნება არა მაქვს, რომ იმას რაიმე რჩევა და დარიგება მივცეო.

## დეპეშა

9 აპრილი

პეტერბურგი. გუშინ ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა ბრძანდებოდნენ გრაფ პ. პ. შუვალოვისა და გრაფინია ა. ი. ვორონცოვ-დაშკოვის ჯვარის-წერაზე. ქორწილი დიდის ამბით იქმნა გადახდილი. ქორწილში ბრძანდებოდნენ აგრეთვე: მემკვიდრე ცესარევიჩი და სხვა უმაღლესნი სეფე-წულნი. მათ უდიდებულესობათა დალოცეს დედოფალი. მეჯვარეებად დედოფლის მხრით ბრძანდებოდნენ სხვათა შორის მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე.

დიდმა მთავრინამ ალექსანდრა გიორგის ასულმა შაბათი დღე საკმაოდ მოსვენებით გაატარა; მშობიარობის წესისამებრ ყოველიფე რიგზე მიმდინარეობს. უმაღლესმა ახლად დაბადებულმა ღამე ცოტა მოუსვენრად გაატარა, მაგრამ საფიქრებელი-კი მაინც არა ეტყობა-რა.

„С.-Пет. Вѣд.“-ი იუწყება: სარატოვის საგუბერნიო ერობამ მიაქცია ყურადღება მთავრობისა იმ გარემოებას, რომ გერმანელი მეკოლონიენი სარატოვის გუბერნიაში დიდად ურიგოდ ეკიდებიან რუსულს ენას და უნდა იშუამდგომლოს, რომ სავალდებულოდ გახადონ იგი ენა მეკოლონიეთა სკოლებშიო.

იმის გარდა, რომ პოლიაკოვსა და მერინგსს მიეცა კონცესია სპარსეთში რკინის გზების გაკეთებისა, Гражданинъ-ი ამბობს კიდევ, რომ გზები გაკეთდება საფრანგეთში ნაშოვნის ფულის შემწეობითაო.

«Новости» ამბობს, რომ უნდა დაუკლონ ყველა რკინის გზებზე ფასს სადოლე და საშენებელ ცხენების გადაყვან-გადმოყვანისასაო.

„Гражданинъ“-ი ამბობს, რომ 17 აპრილამდე გადაიდო გადაწყვეტა მისი, სევასტოპოლი იქმნას არჩეული პორტად, თუ ფეოდოსიაო.

იგივე გაზეთი იუწყება სარწმუნო წყაროდგან, რომ ელჩი ბერლინისა გრაფი შუვალოვი ისევ თავის ალაგას დარჩებაო.

ვიატკა. 31 მარტს გატყდა ყინული კამასა და ვიატკაზე. მაგრამ ყინვამ ისევ გაფიცრა. 8 აპრილს დაიძრა ხელმეორედ ყინული.

რიბინსკი. გუშინ პირველად მოვიდა ორი დატვირთული ბარჟა ნიჟნი-ნოვგოროდიდამ. ცივა. წყალი ვოლგაში დღე და ღამეში 2 გოჯსა კლებულობს.

კრონშტადტი. შაბათს საღამოს მოვიდა ზღვიდამ ორი გემი. ნაოსნობა უკვე დაწყობილად უნდა ჩაითვალოს.

ბელგრადი. მილანმა გამოაცხადა, რომ მივალ ბელგრადს ათის დღის შემდეგაო.

10 აპრილი

პეტერბურგი. გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება, რომ ახალ განკარგულებამდე მოქმედობდეს უკვე შემოღებული წესი-მცირე წლოვანთა მუშაობის შესახებ ქარხნებში, აგრეთვე ღამე მუშაობის შესახებ დედაკაცთა და ყმაწვილებისა.

ფინანსთა მინისტრმა ბრძანა, ნუ იქმნება მიღებული სატამოჟნო გადასახადის ანგარიშში, თუ ვინმემ წარმოუდგინა კუპონები ინგლისს-ჰოლანდიის სესხისა 1864 და 1866 წ. წ.

ბაირამ-ალი. მემკვიდრე, პრინცი იტალიისა გუშინ იყო მურღაბის სეფე-მამულში.

მერვი. აქ მოვიდა მემკვიდრე პრინცი იტალიისა, სადგურზე გააცნეს მერვის ხანები, დართულნი აღმოსავლეთის მდიდრულ ტანისამოსით. პრინცმა ეტლით დაათვალიერა ახალი მერვი და შუადღისას წავიდა ბაირამ-ალის, საიდგანაც გაემართა ამალით ძველ ნანგრევთა დასათვალიერებლად.

გამოცხადებულ იქმნა უმაღლესი მანიფესტი, რომ დაიბადა დიდი მთავრინა მარიამ პავლეს ასული.

დიდი მთავრინა ალექსანდრა გიორგის ასული არავითარს უქეიფობას არა გრძნობს; უმაღლესი ახლად დაბადებული დიდი მთავრინაც კარგად იმყოფება.

პარიჟი. დღეს მოვიდა ლიაჩიოს პრეზიდენტი კარნო. მიეგებნენ დიდის ალტაცებით.

პეტერბურგის ბირჟა, 6 აპრილი.

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულნი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — „ | „ | 7 30 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | „ | $145\frac{1}{2}$ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 08 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | $220\frac{3}{4}$ |
| —მეორისა | — „ | — „ | $216\frac{1}{4}$ |
| —მესამისა | — „ | — „ | $217\frac{1}{2}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | 86 87 |
| ქუთაისის ბანკისა | 99 | — „ | — „ |
| ტფილისის საერთო-ერთო ნდობის საზოგადოებისა | 99 | — „ | — „ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყჟ (1890) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7398.
ძველი ინდიქტიონი მე-14
ახალი ქორონიკონი—უპბ=482 წელიწადია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4.
ამისი ქორონიკონი მე-46 წელიწადია.
დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1890 წლის ზედნადებია—17.

აპრილი 30 დღით არის

11 დღე ოთხშაბათი. ქართვ. წმ. მღვდელ-მოწამისა ანტიპა, პერღ. ეპისკოპოზისა. კათოლ. წმ. ლევანისა და ეზეკილისა. სომეხ. 11 დღე აღდგომის შემდეგ. მზე ამოდ. 5—7, ჩ. 6—50. ჭეშმ. შუადღ. 11—58 მთ. 4 დ.

12 დღე ხუთშაბათი. ქართვ. ღირსისა მამისა ვასილი პარიის ეპისკოპოზისა. კათოლ. წმ. იულიასი, ზენონისა და ვიქტორისა. სომეხ. 12 დღე აღდგომის შემდეგ. მზე ამოდ. 5—6, ჩ. 6—51. ჭეშმ. შუადღ. 11—58. მთ. 5 დ.

13 დღე პარასკევი. ქართვ. წმ. მღვდელ-მოწამისა არტემონისა. კათოლ. წმ. გერმეგილდის და იდასი. სომეხ. 13 დღე აღდგომის შემდეგ. მზე ამოდ. 5—5, ჩ. 6—52. ჭეშმ. შუადღ. 11—57. მთ. 6 დ.

14 დღე შაბათი. ქართვ. წმიდათა შორის მარტინე, რომთა პაპისა. კათოლ. წმ. ვალერიანისა და მაქსიმესი. სომეხ. 14 დღე აღდგომის შემდეგ. დაბადება მ. უ. ნიკოლოზ მიხეილის ძისა 1859 წ. მზე ამოდ. 5—3 ჩ. 6—53. ჭეშმ. შუადღ. 11—57. მთ. 7 დ.

15 დღე კვირა. ქართვ. წმ. მოწამეთა არისტარხო, პუდი და ტროფიმესი; წმ. მოწამეთა სუხიასი და მოყვასთა მისთა ქართველთა პირველ საუკუნის ბოლოში. კათოლ. წმ. კრესცენცია და ანასტასიასი. სომეხ. 15 დღე აღდგომის შემდეგ. ხსოვნა იოანე ნათლის-მცემლის თავის კვეთისა. მზე ამოდ. 5—2, ჩ. 6—54. ჭეშმ. შუადღ. 11—57. მთ. 8 დღისა.

16 დღე ორშაბათი. ქართვ. წმ. მოწამეთა აღაპია, ირინა და ქიონისა. კათოლ. წმ. კალიკსტასი და ლამბერტისა. სომეხ. 16 დღე აღდგომის შემდეგ. მზე. ამოდ. 9—1. ჩ. 6—55. ჭეშმ. შუადღ. 11—57. მთ. 5 დღისაა.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით | 10 მ.—კ. | 6 თთვით | 6 მ.—კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 „ | 4 „ 70 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 50 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

Доз. ценз. Тифлисъ, 10-го Апрѣля 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე